

წერილი ამერიკელ ქალ პერსონაჟს („კაგა წვიმაში“)

მოგესალმებით ქალბატონო,

თქვენი ისტორიის გაცნობის შემდეგ ძალიან ნათლად ვიგრძენი თქვენი ჩუმი მარტობა და შინაგანი სევდა. უცხო ქვეყანაში ყოფნა, უცხო გარემო და ადამიანები, რომლებიც ვერ გიგებდნენ ბოლომდე, კიდეც უფრო აშკარა ხდიდა თქვენს განცლებს.

იმ დღეს, როცა ფანჯრიდან სველ ებოს უყურებდით და პაგარა კაგა დაინახეთ, მგონი ამ კაგაში არა მხოლოდ ცხოველი დაინახეთ, არამედ საკუთარი სურვილიც — ზრუნვისა და სითბოს მიღების სურვილი. კაგა თქვენთვის სიმბოლოდ იქცა იმისა, რაც თქვენს ცხოვრებაში აკლდა.

გაგიკვირდებათ, მაგრამ ყველაზე მეტად იმაზეც იმოქმედა, რომ გვერდით მყოფმა ადამიანმა ვერ შეამჩნია თქვენი სულიერი მოთხოვნილებები. გინდოდათ უბრალო, მაგრამ მნიშვნელოვანი რამეები — საკუთარი სივრცე, თავისუფლება, ყურადღება, თბილი სიგყვა. ეს სურვილები მხოლოდ თქვენს ნაბ ბუნებას წარმოაჩენდა, რომელიც სითბოსა და მოსმენას ელოდებოდა.

თქვენი ფაქიმი ხასიათი განსაკუთრებით გამოიკვეთა მაშინ, როცა კაგის დაცვა და დახმარება გადაწყვიტეთ. პაგარა არსება თითქოს ერთადერთი იყო, ვინც იმ დროს თქვენს შინაგან სამყაროს წარმოადგენდა. და სწორედ მასპინძლის თბილი დამოკიდებულება და დახმარება გახდა სიმშვიდის მომცემი მომენტი, რომელიც თქვენს გულს შეამსუბუქებდა.

გისურვებთ, რომ მომავალში იპოვოთ გარემო და ადამიანები, რომლებიც თქვენს ფიქრებს დაინახავენ, თქვენს სითბოს დაიცავენ და თქვენს ნაბ ბუნებას დაფასებას გაუწევენ ისე, როგორც იმსახურებთ.

ბეკა ელბაქიძე